



„ღმერთო, სამშობლო მდევროსლე, მძინარეც აშშს ვდუდუნებ.“

„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, მრთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ ღამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით მიჰყავს მსოფლიო ისტორიას... მსოფლიო ისტორიაში ზრუმბრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“

ჰეგელი

# კავკასია

პროფესიული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№1-2 (47-48) იანვარი-თებერვალი 2011 წელი

ფასი 1 ლარი

## ბალათერ არაბული

### იმოს ღაბრუნება

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს და ღამეული წყდება ავდარი, მიდის იესო ისევ ნაზარეთს, ჩვენთვის ჯვარცმულია კვლავ აღმდგარი...

დაცვარულია სივრცის კედლები და მთების იქით მოჩანს სხვა ზედი, შორს კი ბინდბუნდში ელავს ბეთლემი, როგორც სამყაროს გადასახედი...

გადაჰკრავს რიჟრაჟს ფერი იოდის, — ღამე დაიმსხვრა და დაიბზარა და თვით იუდა ისკარიოტელს თავის ღალატი თვითონვე ზარავს...

მიდის იესო და მრევლი მისდევს, ციდან მოისმის გუგუნი ზარის, ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტეთ, გინაროდენ, იერუსალიმ...

ზეცა გრგვინავს, მიწა ზანზარებს და ღამეული წყდება ავდარი, მიდის იესო ისევ ნაზარეთს, ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...



სეგსურეთის გარდასული დღეები წინა პლანზე - ლელა (ლილი) არაბული

### შოთა ნიშნიანიძე

\*\*\*

გაიმე, დედა ავადა მყავს...  
შიშის არ მშორდება ელდა ჩემი დედა — საქართველო  
ნუთუ ღმერთმა გაიმეტა.  
აფხაზეთში წაქცეულა  
და დარდისგან გამითეთრდა,  
სტუმარსა და ახლობლებზე  
ჩემი გადამკვდარი დედა...

...თავზე ღვთისმშობელი ადგას.  
სიხმრად უხილაგად ვხედავ.  
წმინდა ნინოც მოვარდნილა  
მკონი მიუსწრია ბედად.  
ეკლესიის გუმბათებზე უფლის  
ანგელოზნი სხედან,  
უცებ გრგვინვით ცა გაიხსნა  
და ჯვრით გადანათლდა მცხეთა.  
ჩუმად, ჩუმად, ნუ ხმაურობთ,  
ნულარც შეწუხებას ბედავთ,  
ღმერთო, ღმერთო, შენ იხსენი  
ჩემი ღვთაებრივი დედა...

## საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, ფინანსთა სამინისტროს, თბილისის საქარბულოს, თბილისის მერიას

თუმცა ჩვენი განვლილი გზა საკითხავი არ არის, მაგრამ უიმედობა მაინც ძნელია.  
ჩვენ ვართ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წევრები იზოლდა ქმობილის თავმჯდომარეობით, რომელმაც არ დაიშურა ამ საკითხის მიმართ ძალისხმევა, მაგრამ ეს იქით იყოს.  
მრავალჯერ ჩვენი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ გაჭირვებულმა და ილაჯგაწვევტილმა ხალხმა, რომლებმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული კანონის თანახმად: „საქართველოში 1988 წლის სექტემბრის №582 ბრძანებულების გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის ინდივიდუალურ მენაშენების ამხანაგობებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ, რომელიც იქმნებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებსა თუ დაწესებულებებში რაისაბჭოს

შესაბამისი რეგისტრაციით,“ გადაწყვეტილებით ინდივიდუალური ბინა აგვეშენებინა  
იმ პერიოდმა (1992 წლის) ცნობილი მოვლენების გამო, მართალია მშენებლობა დაწყებული იყო, მაგრამ შეჩერდა რიგი წლების განმავლობაში, მთავრობის არცერთი ინსტანცია არ დაგვიტოვებია, იყო მიწურ-მოწურები, პასუხი კი ერთი და იგივე: ეს არის მთავრობის გადასაწყვეტი და ჩვენ არ გვეხება (ფინანსთა სამინისტრო).  
ამ საკითხის აფიშირება 2000 წლიდან მიმდინარეობს, რადგან ჩამოყალიბდა „ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ასოციაციის“ სახელწოდების ორგანიზაცია.  
ამ განმარტებას გინდ უიმედობა დავარქვათ, გინდაც მომავლის იმედი, მაგრამ მაინც, გვინდა გვეკუროდეს ჩვენი დღევანდელი მთავრობა გულთან მიიტანს დედაქალაქში უს-

ანლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის უმძიმეს პრობლემას და კომპენსაციის სახით ავგინაზღაურდება დაკარგული თანხები, ინდბინების მშენებლობისათვის რაც გადავიხადეთ. ჩვენი თანხები სახელმწიფო ბანკებში იყო შეტანილი (ამისათვის გვაქვს ყველა დოკუმენტაცია).  
**ი. ქემოკლიძე.**  
(ასოციაციის თავმჯდომარე)  
გამგეობის წევრები: **ი. ჯაჭვამია**  
**დ. გამგონიშვილი**  
**ნ. თოდუა**  
**ლ. ოლიშარია**  
**ბ. პარპია**  
21 თებერვალი, 2011 წელი.

აი ხსნა!  
აი, საზველი!  
გვ. 4

მოგზაუხოება  
ეიქაქაქაქი  
გვ. 3

ასე დაბრუნდა  
ჩვენი ჟიჟინაქი...  
გვ. 8



# მთიანი მთხარეულიდან ვიდრე ახალ აზრებში მისი გზა

მარშანდელი საკურორტო სეზონი აჭარასა და სამეგრელოს ზღვისპირეთში მეზობელი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან დამსვენებელთა რეკორდული რიცხვით აღინიშნა: სომხეთიდან დაახლოებით 100 ათასი კაცი გვევლინება, აზერბაიჯანიდან – თითქმის 50 ათასი. მთლიანად კი ქვეყანაში წლის განმავლობაში დაახლოებით 1,5 მილიონი კაცი ჩამოვიდა უცხოეთიდან, რომელთაგან მარტო აჭარას 800 ათასზე მეტი კაცი ესტუმრა, რაც წინა წლის მაჩვენებელს თითქმის 40 პროცენტით სჭარბობს. მრავალი ტურისტის ეწვია საქართველოს მთიან მხარეებსაც – სვანეთს, ხევსურეთს, თუშეთს, რაც ამ რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ წლეულს საქართველოში ტურიზმის შემდგომი განვითარების პრიორიტეტები უცხოელი ტურისტების მეტი ოდენობით მოზიდვა, შიდა ტურიზმის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება იქნება. კაცმა რომ თქვას, ამ ჩამონათვალი არაფერია ისეთი რამ, რაც ოდესმე რომელიმე გენგანს ქვეყნისთვის, რომელსაც გეზი ტურიზმის განვითარებაზე ჰქონია აღებული, „პრიორიტეტი“ არ ყოფილიყო, თუმცა ის, რაც სწავისთვის საკმაოდ დიდი ხნის წინათ განვილი ეტაპია, ჩვენთვის, როგორც ტურისტული ბიზნესის ახალბედსთვის, ზოგიერთი რამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი სიახლე იყოს. მაგალითად, მარშან დაიწყო ტურისტული ნიშნების პროექტის განხორციელება, რაც ქვეყნის მთავარ ღირსშესანიშნავ ადგილებამდე უმოკლესი გზების მითითებას ითვალისწინებს, ახლო მომავალში კი საქართველოს მთავარ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების მაგისტრალზე დასვენებისა და გართობის ცენტრების მოწყობა დაიწყება, ამასთან ეტაპობრივად კეთილმოწყობა სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებამდე მისასვლელი მქორეხარისხისთვის, გზები და რაც მეტად მნიშვნელოვანია, უკვე დაწყებულია კონკრეტული მუშაობა სერვისის დონის ასამაღლებლად.

რაც შეეხება წლევიანდელი ტურისტული სეზონის კონკრეტულ სიახლეებს, უნდა ითქვას, რომ 2011 წელს მთიან აჭარაში ყველა სეზონზე გათვლილი სამთო კურორტი შუახევის რაიონში, ზღვის დონიდან 1300 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სოფელ გომარდულში ამოქმედდება. არსებული ინფორმაციით, გომარდულის სამთო კურორტი საერთაშორისო სტანდარტებისა იქნება, რომელსაც გასართობი და სარეაბილიტაციო ცენტრები, ასევე საქართველოში პირველი ე.წ. „ექსტრემალური პარკი“ ექნება. გომარდულში ტურისტული პროექტების მილიონი ღირებულება ორი მილიონი დოლარი

ახალი წელი თითქოს აგერ, ახლანდის შემობრძანდა, არადა, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახალი საკურორტო სეზონის კონტურები თანდათანობით უკვე იკვეთება, რაც, თქვენ წარმოიდგინეთ, პატრიცეზული მკითხველო... რედაქციაშიც ვიგრძნით! საქმე ის არის, რომ ჩვენს ერთ-ერთ კოლეგას შავი ზღვისპირეთში ოთხ თუ ხუთნობრიანი პატარა სასტუმრო-პანსიონატი აქვს, რომლისგან მიღებული შემოსავალი ოჯახისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. პოდა, ნახალწლევს ჩავიდა ამ ჩვენ კოლეგასთან სომხეთის ერთ-ერთი ტურისტული ფირმის წარმომადგენელი და მისიდან ოქტომბრის ჩათვლით მთელი სასტუმრო ერთიანად დაიქირავა, ფულის ნაწილიც წინასწარვე გადაიხადა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩვენი უახლოესი მეზობლები (სხვებზე მეტად თურქები და სომხები აქტიურობენ) მთელი საკურორტო სეზონით გარკვეული ბიზნესისა თუ სასტუმროების ქირაობით არ იფარგლებიან და საუკეთესო ადგილებში სასტუმროსა და მამულებს ყიდულობენ. ასეა ამას ერთი აქვს: საქართველოში ტურისტული ბუმი აგორდა, რაც, ცხადია მოსახლეობისა და სახელმწიფო ხაზინისთვის კია საკმაოდ მომგებიანი, მაგრამ მთავარია, „სტუმრიანობის“ ცუნამმა ჩვენც არ გადაგვიყოლიოს: სტუმრების ერთი ნაწილის სამხელად ზოგიერთ საზოგადოებრივ თავმჯდომარის ადგილს მხოლოდ ინგლისური და სომხური წარწერა „ამშვენებს“, რაც, დავუთანხმებით, არააირ ჩარჩოებში არ ჯდება. სიტყვამ მოიტანა და, იმასაც ვიტყვი, რომ ზუსტად ასეა სამცხე-ჯავახეთის მრავალ დასახლებულ პუნქტში, ოღონდ იქ ინგლისური წარწერებიც უგულბელყოფილია. თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა, რომელსაც მომავალში აუცილებლად უფრო ფართოდ გავმლთ.



იქნება და მას რამდენიმე ეტაპად განახორციელებს დეველოპერული კომპანია „არსი“. თავდაპირველად ახალ სამთო კურორტზე ხუთ კოტეჯს, რესტორანს, მინი-სტადიონსა და ექსტრემალურ პარკს სოფელ გომარდულის მკვიდრი სამი ბიზნესმენი ააშენებს, რომელთა ვინაობა არ სახელდება.

მას შემდეგ, რაც გომარდულის სამთო კურორტი მწყობარში ერთიანად ჩადგება, იქ ერთდროულად დაახლოებით ორი ათასი ტურისტის შეძლების დასვენებას და, როგორც ვარაუდობენ, პირველი ტურისტები აქაურობას წლეულს ზაფხულში ესტუმრებიან.

საქართველოში უცხოური ტურიზმის განვითარების ზოგადი ტენდენციების მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დედეგაციის მონაწილეობა ცოტა ხნის წინ მადრიდში გამართულ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში „FITUR

2011“-ში ორ ქართულ ტუროპერატორთან – „ვიზიტ ჯორჯიას“ და „ჯორჯიან დისკავერი ტურთან“ ერთად. საქართველოს დედეგაციის წევრებს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდათ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან თაღბ რაფაისთან. აღსანიშნავია, რომ ბატონ რაფაის თბილისში მარშანდელი ვიზიტის დროს ხელი მოეწერა საქართველოსა და მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის ინიციატივის ხელშეკრულებას სამხრეთ კავკასიაში ერთიანი ტურისტული პროექტის შექმნის თაობაზე.

მადრიდელი შეხვედრების დროს ურთიერთთანამშრომლობის რამდენიმე მოდელის შესახებ იყო ლაპარაკი. პირველია, როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის ერთიანი ტურისტული პროექტის შექმნა და მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანა, მეორე კი გულისხმობს აღმოსავლეთ ტურქეთის ტერიტორიაზე ამჟამად მოქმედ ტურებზე სამხრეთ

კავკასიის რეგიონის, კერძოდ, აქცენტრირებულად, საქართველოს დამატებას. ამ მხრივ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტექნიკურ დახმარებას გასწევს, მისი კონსულტანტები აქტიურად იმუშავენ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სამხრეთ კავკასიას, კერძოდ კი საქართველოს, უცხოელი ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის.

გარდა ამისა, ბატონ რაფაისთან შეხვედრისას წამოწეული იყო მეტად მნიშვნელოვანი თემა, კერძოდ, აბრეშუმის გზის ერთიანი ტურისტული პროექტის შექმნის საკითხი. 2011 წელს, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ამ პროექტს პრიორიტეტად მიიჩნევს, ხოლო საქართველოს გადამწყვეტია აქტიურად არის ჩაბმული საქართველოც.

## ოთარ ტურაბაძე „საქართველოს რესპუბლიკა“

### ბინაშვირი:

მისაღებელია ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და წინსვლა საქართველოში, მაგრამ მეტად დამაფიქრებელი კი ის არის, რომ უცხოელებზე არ უნდა იყიდებოდეს, მცირე-წიანი საქართველოს მტკაველი მიწაც კი. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა სახელმწიფოსგან თუ მოქალაქეების მიერ სოფლებსა და ქალაქებში, მთის რეგიონებში საშოსახლეობის, მიწების და ტყეების გასხვისება, მაღე ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობაში მოვეცქევით და დავკარგავთ უფირფასეს განმს – სამშობლოს.

განსაკუთრებით ბათუმსა და ქობულეთში, სხვაგანაც, არა მარტო ქირაებით, ბევრმა უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა (მაგალითად, სომხებმა და თურქებმა) უკვე იყიდეს სახლები. ზოგიერთ ქუჩაზე გაქრა ქართული წარწერები და მის ნაცვლად სომხური და თურქული გაბატონდა... ტელევიზიის ზოგიერთი არხიც მაგარ პროპაგანდას უწევს მიწების გასხვისებას: „თბილისის ირგვლივ ქალაქის შემოგარენში შეიძლება შეიძინოთ მიწები“.

თუ ასე გაგრძელდა, მაღე საქართველო „ნინიას ბაკი“ გახდება, (თუმცა უკვე არის).

აჭარიდან მოწვილი ინფორმაციით, თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში ბათუმის და ქობულეთის რესტორნებიდან მხოლოდ სომხურ სიმღერებს გვასმენინებდნენ. ფრთხილად, თანამემამულეო, პატივი ეცით წინაპართა ანდერძს, დავიცვათ „მამული, ენა, სარწმუნოება“, გაუფრთხილდეთ საკუთარ მიწა-წყალს, გასხვისებისგან გადავარჩინოთ, მათ ზომ სიცოცხლის ფასად გადმოგვცვენ მშობლიური და სამოთხისდარი ქვეყანა..

### ბაზემი „კავკასია“

# მოგზაურობა ირეაქიაში

## ამ ღონისობა და ქალაქობა წინდა ენდრია კიჩეველი

– დიდი ხანია გვინდობა მე და ჩემს მეგობრებს და ვფიქრობდით ის გზა გაგველო რომელიც წმინდა ანდრია პირველწოდებულმა გაიარა. იგი შემოვიდა აჭარაში, მერე ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში ავიდა და ჩვენც – მე და ჩემმა თანამოაზრებებმა გადავწყვიტეთ, რომ ის გზა გაგველო და მოგვენახულებინა აღნიშნული ადგილი სოფელ დიდაჭარაში, გვითხრა ბატონმა რეზო კობიაშვილმა.

გადავწყვიტეთ და გავემზადეთ: მე, გელა საბა, ზაალ სალუაშვილები, მეკლუდ მამადაშვილი და მინდია სულთანიშვილი.

არსებობს ბიბლიის შემსწავლელი საზოგადოება, რომელსაც ჰქვია „ლასკარი“. სწორედ აქედან წამოვიდა ეს ჩვენი იდეაც.

წავედით აღნიშნულ ადგილზე, გავაკეთეთ ჯვარი, მის შუა ადგილას ჯვარში ჩავამაგრეთ ხატის ჩასაბრძანებელი. მანამდე კი წავედით დიდაჭარაში.

**რეზო კობიაშვილი წარმოშობით მოხვევა, სახელოვანი ოჯახის შვილი. ველოსპორტის ოსტატი, სახელმწიფო სპორტსმენი იყო, საქართველოს მრავალჯონ ჩემპიონი, სპორტის ოსტატი და ამიერკავკასიის ლიდერი. მშენებელი ინჟინერი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სამი ვაჟიშვილის მამა: თამაზის, ლევანის და აჩიკოსი.**


ლევან და აჩიკო კობიაშვილები სახელგანთქმული ფეხბურთელები არიან. ლევანს არამარტო საქართველო, მთელი მსოფლიო იცნობს. დღეს იგი გერმანიაშია. თამაზ კობიაშვილი კი ოურისტია.

ბატონი რეზო ხშირად სტუმრობს მშობლიურ სოფელ ყანობს, საქართველოს სასაზღვრო კარიბჭეს-სტეფანწმინდას, მას მჭიდრო კავშირი აქვს მოხვევებთან და მუდამაჟმს მათი ჭირისა თუ ლხინის თანაზიარია.

რეზო კობიაშვილი ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული მიმდევარია და ასევე ჩვენი გაზეთის – „კავკასიის“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

ჯერ გვინდობა კურთხევა მიგველო მეუფე დიმიტრისაგან, რომელსაც სამწუხაროდ გზაზე ავცდით. იგი თურმე თბილისში წამოსულა. ბათუმის საკათედრო ტაძარში ვაკურთხებინეთ ჯვარი და აწყურის ღვთისმშობლის ხატი ზუსტად ამისი გამეორება იყო.

რეზო კობიაშვილმა და მისმა მეგობრებმა ასე მიადწიეს აღნიშნულ წმინდა ადგილს, სადაც ჯვარი დამაგრეს, მიწაში ჩაბეტონეს და ჯვარში მოთავსებულ ჩარჩოში დააბრძანეს აწყურის ღვთისმშობლის ხატი. აქაურ მოსახლეობასთან ერთად მოილოცეს და თბილისში დაბრუნდნენ.



რეზო კობიაშვილი



# მოგზაურობა ერიქაში

## ამ ლოცულობდა და ქადაგებდა წმინდა ანდრია პირველწოდებულს

მ-2 გვერდიანი

ეს მოკლე ექსკურსი გახლავთ ბატონ რეზო კობიაშვილისგან მონათხრობი.

ახლა კი მოვუსმინოთ თავად ბატონ რეზოს:

– გონიოში წავიდეთ, სადაც არის საფლავი უფლის მოციქულთაგან ერთ-ერთი – წმინდა მატატასი.

მოვილოცეთ მისი საფლავი და ხულოსკენ გავუდევოთ გზას დიდა-

გამოთქვს იმის გამო, რომ ქართველი მუსულმანები არიან, მაგრამ ეს ზომ ჩვენი ბრალი არ არისო. ხუთი საუკუნის წინ, როცა თურქეთის უღელქვეშ მოექცა აჭარა, მაშინ მოხდა მათი გამუსულმანება. აღნიშნეს, რომ როცა უფლის ნება იქნება, მაშინვე შეიცვლიან და დაუბრუნდებიან მამაპაპურ, წინაპართაგან ნაბოძებ ქრისტიანულ სარწმუნოებას და რომელსაც დიდი მოწიწებით ასწავნიდნენ და პატივს მიაგებდნენ. მათ ეამყებოთ ისიც, რომ წმინდა ანდრია პირველწოდებ-

ქართველთა გაქრისტიანება წმინდა ანდრია პირველწოდებულისგან მოხდა დასავლეთ საქართველოს მთა-ბარშიც.

საქართველოში უფლის მოციქულებიდან: სამი წმინდანია შემოსული, ერთიც აფხაზეთში. ეს არის საქართველოს სამკუთხედი: აფხაზეთი, კახეთი და აჭარა. ამ სამკუთხედმა, სამა წმინდანმა შეკრა საქართველო სამკუთხედად, რომელმაც დღემდე მოიტანა ქვეყანა თავისი დიდებული სარწმუნოებით და გადაარჩინა საქართველო.

აი, ამ იდეას, ამ წმინდა საქმეს ემსახურებოდა ჩვენი დიდაჭარაში წასვლა, ამობს ბატონი რეზო.

რაც შეეხება იქაურ გარემოს, მათ დახვდით წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ აშენებული პატარა ტაძარი, რომლის ნანგრევები იყო დარჩენილი. მათ დახვდით ასევე მარმარილოს ფილა, რომელზეც იყო წარწერილი შემდეგი სიტყვები: **აქ ლოცულობდა და ქადაგებდა წმინდა ანდრია პირველწოდებულს.**

როცა რეზო კობიაშვილი თანამოზარეულებთან ერთად ხატს მიაბრძანებდა, პირველი ბატონი რეზო დაადგა გზას და როცა მწვერვალამდე მიაღწია, დაინახა ის წმინდა ადგილი, რომელიც აღმოჩნდა კლდოვანი და მის ირგვლივ ქვები ელაგა.

წმინდა ადგილზე ასვლამდე, მოსახლეობასთან საუბრის პერიოდში ძალზე დიდი თავსხმა წვიმა წამოვიდა, რამაც ხალხში გააკვირვება გამოიწვია: ვინ ხართ თქვენ, რომ მაისიდან ჩვენთან წვიმა არ ყოფილა, ციდან ცვარნამაც კი არ ჩამოვარდნილა, ლამის მთლად გადაიტრუსა ბაღბოსტანი, ველ-მინდორი, და ახლა ამისთანა დღეგმა წამოვიდაო. 4-დან 6 საათამდე წვიმა არ შეჩერებულა...

მოსახლეობასთან საუბრის შემდეგ, ჩვენმა ჯგუფმა გზა განაგრძო... როგორც, კი იმ ადგილს მივუახლოვდით, სადამდეც სამანქანე გზა



სოფელ დიდაჭარის ხედი

ჭარაში, რომელიც ყველაზე მაღალი დასახლებაა აქ. ავედით სოფელში, სადაც შეკრებულყო ადგილობრივი მოსახლეობა და შევხვდით. ისინი არცთუ ცოტანი არიან – 350 ოჯახი ცხოვრობს და ყველა მათგანი მუსულმანური სარწმუნოების მიმდევარია.

ერთი შეხედვით მიხვდებით, რომ ეს ხალხი გამოირჩევა სიკეთით, უბოროტო და ალალი გულით, კეთილშობილებით, როგორც ჩვენი ქვეყნის მთიანეთის მოსახლეობაა. მათ ძალზე თბილად მიგვიღეს, ვისაუბრეთ წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე, ჩვენი შეხვედრა და საუბარი ძალზე შთაბეჭდავი იყო და შეეხებოდა სარწმუნოებას. მათ გულსიტკივლი

ბუღმა სულ პირველად აჭარაში, დიდაჭარაში იქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება, როცა იქ არსებობდა, როგორც მთლიანად საქართველოში – კერპთაყვანისმცემლობა.

როცა წმინდა ანდრია პირველწოდებულმა აჭარაში იქადაგა აღნიშნული სარწმუნოება და მოაქცია ხალხი ქრისტიანობაზე, მაშინ მოხდა კერპების მსხვერველა და თავყანისცემა მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი.

კარგად ვიცით ისიც, რომ ამავე პერიოდში შემოვიდა წმინდა ნინო, გააქრისტიანა ქართლ-კახეთი და საერთოდ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბარი მოაქცია ქრისტიანობაზე.



სწევრის ღვთისმობლის ხატი

ადიოდა, ჩვენი გადმოსვლა მანქანიდან და წვიმის შეწყვეტა ერთი იყო. ეს მოხდა ზუსტად 6 საათზე და ამ დროს ცაზე გამოჩნდა ორი ერთმანეთს გადაჭდობილი ცისარტყელა, რომელსაც ჯვრის ფორმა მოუჩანდა. ეს სასწაული იყო... ამ დროს გვახლდა აქაური სოფლის გამგებელი და სკოლის დირექტორი – **იოსებ შავაძე, ჯამბულ წულუკიძე.**

როცა მთის კლდოვან წვერს მივადწვიეთ, კლდოვანზე ლოდის მოწყვეტა და დაგორება ერთი იყო და თან ქვების გროვა გაიყოლა,

ქვა-ლორდის ეს გროვა რატომღაც ყველას აგვცდა და სადღაც შეჩერდა... ამ ლოდს კი, ჩემდა გასაკვირად, ამდენი ქვები საიდან აედევნა, მანამდე არსად ჩანდა...

ბატონი რეზო კობიაშვილი კი, ამ სასწაულს უკავშირებს ანდრია პირველწოდებულის დიდაჭარაში ქადაგებას და კერპების დამსხვრევას.

ასეთია ძალა ქრისტეს წმინდანებისა და ძალა უფლისა!...

ესაუბრა ლილა არაბული



ადგილი, სადაც ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა და ააგო ტაძარი

# ქ ა რ რ ა თ ბ უ ბ ა



პირიქითა ხევესურეთში, მდინარე ასას ხეობაში მოქცეულია საქართველოსა და თვით ცენტრალური ხევესურეთისაგან მოწყვეტილი, ქისტეთის მომიჯნავე თემი – არხოტი (არხვატი). სისხლითაა შეღებილი არხოტის კლდე-ჭალანი. მტერი და სიკვდილი ლანდით დაჰყვებოდა არხოტულ ხევესურს, მაგრამ მაინც ლაღობდა, ქედს არ უხრიდა, მტრის ჯიბრზე ეკაფიავებოდა სიკვდილსიციცხლეს: „გამაგრდით არხოტივენბო, გატეხით რა იქნებისა, ვინაც მაგვიკლეს, დავდმარხათ, სხვა კიდევ გაიზრდებისა.“

არხოტიონი, ჭიმლიონი იყო გაბური, ეშმა რომ დაიჭირა და ტყვედყო.

არხოტიონი, ახიელელი იყო ალიათ მგელა, კაცი-ჯვარი, ქურუმი-წინასწარმეტყველი.

არხოტიონი, ამლიონი იყო ხოგაის მინდი, კაცი-ლეგენდა, მეომარი და ჯადოსანი აქიმი-მკურნალი.

არხოტიონი, ამლიონი იყო გავა ბერდიშვილი, ბრძენკაცი და ურჯულთა რისხვა.

არხოტიონი, ორბულთელნი იყვნენ ორბელნი, ამირსპასალარის, მეამბოხე ივანე ორბელის ნათესავნი, მეფე გიორგი მესამემ საქართველოდან რომ აჰყარა.

და იყვნენ არა მხოლოდ კაცნი, არამედ დედაკაცნიც.

ამლიონი ქარჩათ ქალი იყო ბუბა ბასილაური. მამაცი და დინჯი ხალხნი იყვნენ „წარმოშობით თუშნი“ ბასილაურნი. მათი განაყარი იყო როშკიონი ბასალიშვილი – ხევესურთა რჯულმდებელი. აბა ბასილაურმა კი სახელი გაითქვა ბაბურაულის მხარდამხარ ქისტი ბელადის გავაის ძობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოგვიანებით ბასილაურების ნაწილმა წიკლაურის გვარი მიიღო და ბარში ჩასახლდნენ.

დიდი და ძლიერი იყო ხევესურეთის განაპირა სოფელი აშლა. მართალია მეზობლობა-მეგობრობა ჰქონდათ ქისტებთან, მაგრამ ზოგჯერ რომელიმე მხარის მიზეზით მტრობა ჩამოვარდებოდა ამათ შორის და ნადირობდნენ ერთმანეთზე. თუმცა ეს მტრობა არ იყო ორი თემისა ან კუთხისა, პირად საგვარეულო მტრობას წარმოადგენდა და თემი ცდილობდა არა მტრობაში გარეგას, არამედ მათ შერიგებას. ცდილობდნენ ნაკლები სისხლი დაღვრილიყო, რადგან ორივე მხარე კარგად იცნობდა ერთმანეთს და ხანგრძლივი დროის მანძილზე სისხლს სისხლი მოჰყვებოდა.

ერთხელაც, მეკობრე ქისტები რაღაც ვალზედ დაეცნენ აშლას და დაარბიეს სოფელი. სისხლისღვრას მოერიდნენ ამლიონი, ციხე-კოშკებში შეიხიზნენ; სხვა დროს მოვიცლითო თქვენთვის.

ერთი გადმოცემით ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ქისტები ღამით დაეცნენ გავა ბერდიშვილს და მისი ცოლიც ტყვედ გაიტაცეს.

ნადავლით დატვირთულნი გაბრუნდნენ უკან ქისტები. ჯავრიანი მზერა გააყოლეს კოშკებიდან ხევესურებმა. ძლივს აკავებდნენ ახლებს

გამოცდილი და ბრძენი უფროსები: რაც წააღეს ორ იმდენს თავადვე მოიტანნო.

და მოულოდნელად ვიდაცამ დაჰკვლია კანტალა ქისტებს. ჯაჭვი-იარაღში ჩამჯდარი ხევესური მიიწვევა მათკენ. შედგნენ ქისტები: ვინ არის ეს თავზეხელადებული კაცი? – ვერც ერთი ამლიონი ვერ შეიცნეს მასში.

გაუკვირდა ამლიონებსაც, ვერც იმათ იცნეს: – ახიელიდან თუ მოვიდა ვინმე საშველადო?

შეაუღრიალა ფარ-ხმალი და დაჰკრა „უცხო მოყმე“ ქისტებს. მიესივნენ ქისტები და დაჰკრეს იმათაც, წაიქცა ერთი, ორი, სამი. დაეცა ხევესური მეომარიც, ჩაჩქანი გადაუვარდა თავიდან, ოქროსფერი თმები დაეფინა ჯაჭვზე.

შეკრთნენ ქისტები. ჩააგეს მახვილები. „დაკრიფეს“ უთანასწორო ბრძოლაში ვაჟაკურად მოკლული ქალი, ფარ-ხმალი თავთან დაუწყვეს და გაეცალნენ იქაურობას.

მისი ტალავარი და ჯაჭვი-იარაღი გადაეცა ბუბა ბასილაურს.

შოთა არაბული.



მესაზვრებით ცნობილ მფარველს, „ეროვნულ ტრადიციონალურ და ცნობის ცენტრის“ ხელმძღვანელს კობა არაბულს:

— შიმშილობა შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. ხელისუფლებას საქმე აჯანყებისაკენ მიჰყავს. სამინისტროს ხალხს ვირტუალურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ხალხი ქანდაკდება. ეს არის მირაჟული ილუზიური სახელმწიფო. ხელისუფალი პრობლემების დაძლევა არ ძალუძს. ყველაფერს ანგრევს. სახეზე გარეგნულ პირობით ეფექტებზე აგებული მართვის სისტემა, რომელსაც მირაჟული საფუძველი არა აქვს. პროცესთა შეცვლის პროგრამა დასაწყისი. უნდა შექმნათ ჩვენი ცხოვრების წესის ახალი პირამიდა.

ერი მუდამ იდგა დამცავი, „სოლარულ წრეზე“, რომელიც გახლავთ კავკასიის ზოლი. ეს ვაკვირ ვეცხვად, როგორც ეკონომიკურად, ისე მატერიალურად, სულიერად, სამხედრო თვალსაზრისით. ქალაქი ხან იყო, ხან — არა. მაგალითად, ალა-შამალ-ხანმა საერთოდ გაანადგურა თბილისი. თემურლენგმა მოსო აქაურობა. ციხეებს ეძებდა, რათა დაეწვინა, ხეებს ჭრიდა, ვახს ჩეხდა, რომ ერს აღარ ეარსება. მაგრამ დამპყრობელთა რისხვა იშვილად სწავდებოდა ფხოვის მთებს, ზემო იმერეთის მთიანეთს, ზემო სამეგრელოს, სვანეთს. ეს იყო საკრალური სივრცე. აქ იყო ქვეყანა. ამან გვიხსნა, თანაც ათასჯერ. დღეს ეს სივრცე მოვუგებოდა. საზღვარი გახსნილია!

— ბატონო კობა, ზოგ ქვეყანაში წყალდიდობაა, ზოგან — ქარიშხალი, ზოგან — ყინვა და თოვლი. ჩვენთან კი ხეებს კვირტები დაუბრა.

— სამყარო იცვლება. მეცნიერებმა იცინა, რა უნდა დაილუპოს და რა გადარჩეს. გლობალური დათბობის შედეგია ის, რომ თოვლი არა არის. დიდი ხნის წინ ვთქვი, რომ ტყეები ავიდნენ მწვერვალებზე. ალაპური ზონა ტყით იფარება. კლიმატი რადიკალურად შეიცვალა. მცინვარწვერზე თოვლი აღარ არის. სვანეთში ჯერ არ დაუთვია. ამ დღეებში სვანებს ვესაუბრე. ასეთი რამ არც ისტორიას ახსოვს, არც ძველებს და არავის. ეს შემთხვევითი მოვლენა არა არის. გლობალური დათბობა იწვევს გამყინვარებას! ნახეთ, რა ამბებიან ოკეანისიანრა სახელმწიფოებში. 40-გრადუსიანი ყინვები დაატყდათ თავს. ჩვენთან კი სიცივეც არ ყოფილა.

როგორც ხევისბერის ტექსტშია, ხევისბერით არის ხალხს მთა, დედამიწის შუა სამანი, სადაც არის უფლის ეზოთერული ცენტრი! ამიტომ უფლის აქ ათასი ჯურის უცხოელი. არ გიფიქრათ, რისთვის ან ვისთვის შენდება აქ ეს მაღალ-მაღალი შენობები? ქართველი გადიან საკუთარი მიწიდან, უცხონი კი აქ სახლდებიან! მიწა მტერს რომ არ წაეღო, ამისთვის ვიბრძოდით, ახლა კი ნების ამძღვევთ.

— ბურებს ვასახლებთ, მიწას

ვასხევისებთ, ეს რას მოგიტანს?

— დალუპავს! ჩვენ დაკარგული გვაქვს მოქმედების კრიტერიუმი. დაკარგულია მართვის, ფსიქოლოგიური და ეროვნული ხსნის შინაგანი შეგრძნება. ხალხს არაფრის შექმნის თავი არა აქვს. ხელისუფლება კი მილიონებს კონცენტრებს ხარჯავს. ნუ დავხარჯავთ მილიონებს უცხოელი მომღერლის ჩამოყვანაში მაშინ, როცა არ გვმძღვერება!

— რა უმჯობესია: ბათუმის ბულვარში უცხოელმა მომღერალმა იმღეროს ერთი საათით და მისი ბიუჯეტი გაგამდიდროთ მილიონებით ან თუნდაც ხევსურეთში ერთი სოფელი ავალორბინოთ?

— ნახეთ, რამხელა ეროვნულ რამეს ამბობთ. სულ თავისუფლად შეიძლება ხევსურეთის რამდენიმე თემის აღდგენა მხოლოდ ერთი კონცერტის საფასურით. ეს პამპერისის ხიდი რომ გადეს მტკვარზე, იმ მილიონებით საქართველოს მთიანეთს ააყვავებ!

1990-იან წლებში 8-ბაღიანმა მიწისძვრამ დაანგრია ეს რეგიონი. 30 სოფელი დაინგრა. კაკიკი ვერ ჩავდეთ ვასახლებლად. ჩემი სახლის ნანგრევები ყრია. მე იქ სახლი აღარა მაქვს. ქვეყანა ინგრევა, ჩვენ კი მტკვარზე ვაკეთებთ ხიდს, რომელიც არ გვჭირდება. კარნავალი, რომელიც არ გვჭირდება. შადრევანი, რომელიც არ გვჭირდება. ჯერ ის გავაკეთოთ, რაზეც ერის სული უნდა დაეგრძნოს, ეკონომიკა, მატერიალური გარემო და მერე ვაკეთოთ დანარჩენი! პატრიარქმა ბრწყინვალე საშობაო ეპისტოლეში ისაუბრა მთიანეთის, ხევსურეთის, თუშეთის დამცავი სარტყელის გადარჩენაზე, მის უწმინდესობას ესმის, რომ სხვაგვარად ვერ გადავრჩებით. ვენმანები პატრიარქის ეპისტოლეს და თქვენი ეროვნული, პოპულარული გაზეთის ფურცლებიდან ვაცხადებ, რომ: მე მაქვს კონკრეტული მოდელი ხევსურეთის რეაბილიტაციისათვის.

ვთხოვ ქველმოქმედ ადამიანებს, მხარი დაგვიჭირონ ამ იდეის გაცოცხლებაში. მე ვწერ მოკლე რეცეპტებს, ამას დიდი თანხებიც არ სჭირდება. პატრიარქის კურთხევით ავაშენოთ რამდენიმე თემი და სოფელი. ფაქტი ერთია: საკუთარ ქვეყანას, სამშობლოს ვერ მოუარეს პოლიტიკოსებმა, ვერ მოუარა სახელმწიფომ. მდგომარეობა უარესდება. ქვეყანა უკან მიდის! ინგრევა მატერიალურად და სულიერად. ერი კარგავს გენეტიკურ კოდს და შინაგან ღირსებას. ტრადიციური ძალადობა მიმდინარეობს ერზე, მის ენაზე, მის რწმენაზე, როგორც უფლის დაშვებულ ფენომენზე. ხდება

თემთა, პროვინციათა, სოფელთა დამცავი სარტყლის მოშლა. ეს პროცესი ვერ შეაკავს ვერც პოლიტიკურმა პარტიებმა, ვერც არასამთავრობო და სამთავრობო კლანებმა, რომლებიც ჩნდებიან და ქრებიან რომელიმე ამფიბიებით. გადადიან ერთმანეთში, ერთი ფორმიდან მეორეში, მრავლდებიან, ქრებიან და ისევ ჩნდებიან. არ შეიძლება, ერთი და იგივე ჯგუფი „ჩიტო-გვირგვინით“ ერთსა და იმავე ქვაში იხარშებოდეს. მათ ამ „ხარშვაში“ ჩაიხარშა ეროვნული ღირსება, მენტალიტეტი, ერის სულიერი „მატრიცა“ მილიანად დაზიანდა, როგორც ფისი, რომელიც მკვავაში აღმოჩნდება.

მივმართავ ხალხს და მივმართოთ საპატრიარქოს, დავეყრდნოთ პატრიარქის სიბრძნეზე და პატრიოტ, ქველმოქმედ ადამიანთა ნებაზე. დავიწყეთ ჩვენ დანგრეული, ისტორიული და ეთნიკური სივრცის მტკაველ-მტკაველი, ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენა! დავღვათ, დავაფუძნოთ ისტორიულ სოფლებში, თემებში „ტრადიციონალური“ სახლები, ტრადიციული სამეურნეო კომპლექსებით, ხალხური ტრადიციული ხელსაქმით და ეთნოგრაფიული ატრიბუტებით! დიას, დავიწყეთ აღდგენა იქიდან, სადაც უძველესი კოდი დევს და სადაც მიმდინარეობს ამ კოდის და ისტორიული მესიერების ამოშლა-გაქრობა, მიგრაციული, დემოგრაფიული კატაკლიზმები. დავიწყეთ ხევსურეთის რამდენიმე თემის აღდგენა: საეკლესიო, სამონასტრო ნიადაგზე დაყრდნობით; ვინაიდან აქ არის უამრავი ტაძარი და ნატაძარალი, ქრისტეს მოციქულთა პირველი ნაკვეთი, პირველი ჯვარი და ნიშანი, ხოლო იმის უკან ღვივის უძველესი წარდგენადელი და წარდგენის შემდგომი ცივილიზაციის ღაღარი: შორეული ისტორიული მესიერება ერისა.

ხალხს უნდა ვასწავლოთ ტრადიციული წესით — ძველი ენდემური ჯიშების აღდგენა და მოვლა. მტკაველ-მტკაველ გავაცოცხლოთ ჩვენი მიწა. მტკვარს ვეტყვი: მიწა იმდენად გაუცხოვდა (თუ თესლმა დაკარგა თვისება), რომ თესვ და ვეღარ მოდის ეს, იცით, რას ნიშნავს? მიწაც უარს გვეუბნება და თესვაც საკუთარ ცოდვათა გამო, იმ დალატის გამო, რაც ჩვენ ჩავიდინეთ ცოცხალთა და წარსულთა სულების წინაშე. მათ წინაშე, ვისაც იყო, არის და იწება ეს ქვეყანა. ამიტომ ხევსურეთის რამდენიმე თემი გამოვცხადოთ სამონასტრო თემად. ძალიან ხელსაყრელია ლიქოკის, როშის და პირიქითა ხევსურეთის ციხე-ქალაქთა „სოლარული რკალი“

(ციხე-ქალაქისკარი, გურო-შატილი, მუცო-არდოტი ხანაბო), რომლებსაც აბრწყინებს საკულტო ეკლესიების, ნიშების ელვარება. დიას, ფხოვის სივრცეში „შედგომლმა“ ქრისტეს ტაძრებმა გადაარჩინეს ქრისტიანობა საქართველოში და გადაარჩინეს ერის სული მთიდან მაშინ, როდესაც ბარში ქალაქი აღარ არსებობდა, ეკლესია და ციხე-ტაძარი ინგრეოდა, ვაზი ირეხებოდა, ფხოვის „სოლარულ წრეში“ ერის შეკუმშული ენერჯია ღუღდა. აქ ბევრი რამ გადარჩა. აქ ვერ შეაღწია ვერც მონღოლმა, ვერც თემურლენგმა და ვერც სკვით-ხაზარებმა გადმოლახეს გურო-შატილის საზღვარი.

— სამონასტრო სოფლების შექმნაზე საუბრობდით?

— დიას, სამონასტრო სოფლები გაანათებენ და გააძლიერებენ ადამიანთა შერყეულ რწმენას, იმედს მისცემენ დარჩენილ მოსახლეობას. განსაზღვრავენ ადამიანთა კავშირს ცასთან, მათ სინერგიას, რომელიც იყო და გაყვდა. დაუბრუნებენ მეურნეობის, ხელსაქმის, ორნამენტთა და ფერთა აღდგენის, მახვილის ჭედვის, ხეზე ჭრის სურვილს. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ხევსურელის ბადალი სამოსელი. ამის კეთება ლამის აღარ იცინა. არ აინტერესებთ. არ არსებობს ხალხური მედიცინის ისეთი ცოდნა (და პრაქტიკა), რა ღონესაც ხევსურეთმა მიაღწია. ესეც დავიწყებას უბოძდა! თქვენ იცით: არ არსებობს ხევსურთა „სამეურნეო კალენდრის“ და აქ არსებულ ჯიშთა (ცხოველთა, მცენარეთა) ბადალი, რომელიც უძველესი დროიდან მოყოლებული ყალიბდებოდა ჯიშად და გენოფონდად! დღემდე მოაღწია და დაკარგოთ? ეს უნდა შემოაბრუნდეს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და გადავიდეს სამონასტრო თემთა წიაღში გვიდა, რომ ხევსურეთის შუაგულში — ბუდე-ლაში, ანუ ბარისაზოში დაარსდეს დიდი ტრადიციული კულტურული-სამეურნეო სახელოვნებო სასწავლებელი, გნებავთ, ტრადიციონალური ცოდნის ცენტრი: ყოველგვარი სამეურნეო და სახელოვნებო, პრაქტიკული დარგების სწავლებით, და რა თქმა უნდა, მითოლოგიურ-ფოლკლორული, ერის საკრალური ცოდნის გაცვითლებით. აქ თავი უნდა მოიყაროს ინტელიგენციამ, სწავლულებმა, პედაგოგებმა და მოსწავლეთა კონტინენტმა, რომლებიც საკრალურ კურთხევაში მიიღებენ მიწისა და მამულის გადაარჩინის პრაქტიკულ ცოდნას! მთავრობებმა უნდა დაიხარონ ფხოვიდან და გავიდეთ უძველეს საზღვრებამდე!

— კი მაგრამ, ამ ადამიანებმა სად

უნდა გაათიონ დამე?

— აქვე ბარისაზოშია საცხოვრებელი პანსიონატი პედაგოგთა და მოსწავლეთათვის. აქ არსებობს შესანიშნავი ბაზა: ძველი ინტერნატის შენობა, სადაც ახლა 25-მდე ბავშვი შემორჩა. ჩემს დროს 300 იყო. ასეთია დებრესის და მიგრაციის შედეგი. პატრიარქის შეუძლოდობით ხელისუფალი ვითხოვთ ქველმოქმედ ადამიანებს: მხარი დაგვიჭირონ ამ იდეის გაცოცხლებაში. სულ ერთი სასახლე-წლო ნაბიჯი ხის და ერთი შადრევანის ფული ეყოფა ამ ყველაფერს. დიას, ის ბრწყინვალე სამეურნეო გარემო, რომელიც აქ არსებობს ძროხის, თხის, ცხვრის, ფუტკრის, კალმახის, ასევე მცენარეული კულტურის მოსაყვანად, უნდა გაცოცხლდეს! ზატის მამულები, ტყეები, ზოდატყეები, საკულტო ადგილები, ნასოფლარები, რომლებიც აქ უნდაა, უნდა გადაეცეს ეკლესიას!

უწინ აქ ცხოვრება ღუღდა და ჰქონდათ უნიკალური ხორბლის ჯიში, რომელიც ჭალისპირაზე ქერი იყო, ხოლო ალაპურ ზოლზე „ჩართად“ მოიქცეოდა! ასეთმა კულტურებმა და მცენარეთა ჯიშებმა გადაგვარჩინა.

— მეც ვგ მინდოდა მეკითხა, მაშინ კანადა და ამერიკა რომ არ არსებობდა, ზორბალს ვინ ვეაწვდიდა, რას ჭამდა ხალხი-მთელი?

— მოგვყავდა! ჩვენს წინაპრებს არ სჭირდებოდათ გენმოდიფიცირებული ხორბლის ან სხვა პროდუქტის შემოტანა. ამიტომაც იყვნენ ლომები. გენმოდიფიცირებული საკვების გამოისობით ხალხში პროტესტის გრძობა გაქრა. ჩვენ გადაგვარჩინა უნიკალური ჯიშის ძროხამ, რომელიც კლდეზე თხასავით დადის, ნეკრით იკვებება და 8-10 ლიტრ რძეს ვაძლევს. გადაგვარჩინა მელისმუხლა ცხენმა და ხარმა, რომელსაც რქებზე სანთლებს უნთებდნენ. მე შევაჯიშე ხევსურეთის მატერიალური და კულტურული დაცვის 5-მუხლიანი მოკლე მოდელი, ის, რაც ამ წერილში მოგასწავთ და მსურს, იგი მივართვა პატრიარქს. აქვე დავძებთ თუ როგორი გარემოა რომშიაში, ესა არის ალაპური სოფელი, რომელიც ფანტასტიკურია ტურიზმისათვის, თავისი ისტორიულობით და იმ 10-12 მამაცი მოსახლით, რომელიც აქ შემორჩა. ლიქოკის თემი უმდიდრესია უნიკალური სამეურნეო-მხერეალოური წყლებით. ლიქოკი გახლავთ უძველესი მკურნალთა ტრადიციის თემი. არხოტის თემი უბადლოა პიროტყვის, თხის, ცხვრის ჯოგებისთვის, საკალმახეებისთვის. სანადიროებისთვის. თუმცა, აქ გზა ვერ მივიყვანეთ ჩვენადა საავალალოდ და ხელისუფალთა სამარცხვინოდ. აქაურობის აღდგენით ჩვენ მივიღებთ ახალ საოცრებას თანამედროვე დროში. მუცოს „გვერდით“ თვით პირამიდები დარჩებიან „გაოგნებულნი“!

ესაუბრა ბება სივსიშაძე.

რვათი მოლაპარაკებელი აბულაქი ელენე აბულაქი ვარ სამოცდახუთი წლისა, წყალი მისგამს ალახნისა; ბორბალოდან მონადენი აი, იმ ლამაზ მდინარისა. ბატონის სენია ვარ, მოამბე ვარ ანბეტისა. შემდგენელი კარგნი მყვანან ვერ ავიტან უგარგისსა.


ახალ ახალ ამბებს გამცნობთ, მატნისა თუ ალგანისა, მუდამ ვიცე სად რა ხდება, ჩამოვრჩები განა ვისა? თუმც ხანდახან წავგუოჭლებ შეცდომების გაპარვითა. მაგრამ სამშობლოს ღალატით ვერგინ ვერ დამწამებთ ცილსა. იუბილე შემისრულდა, საპატიო ასაკის ვარ. გთხოვთ, ცოტა პატივი დამდოთ, ქაღალდის ვარ, განა ქვისა.

ქობის ბიბლიოლოკვა აბოლო სიხვევა მთაწინის ბინაქარნი

წინამდებარე კრებული ორ სხვადასხვა თემას აერთიანებს, თუმცა, მკითხველი მათ შორის საერთოსაც ადვილად იპოვის. „ბოლო სიტყვა“ — სასიკვდილო სარტყელზე მიჯაჭვული ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანების უკანასკნელი ამბახილია, რომელიც შობა-ბეჭდვად გვაგონობინებენ ამქვეყნიური ცხოვრების ამბოუბას. „მთაწინის ბინაქარნი“ კი მოგვითხრობს მთაწინის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთონის დაარსების მტკადა საინტერესო და საგულისხმო ისტორიას. ამასთან, ლაკონურადაა გადმოცემული იმ ქართველ (მათ შორის არაქართველ) მამულიშვილთა ბიოგრაფია, ვინც საზოგადო განსაჯერებელი პოეზია ამ მართლაცდა წმინდა მიწაზე.



კობა ბელოიძე



მოდის, მოინქაროს ისევ გაზაფხული...
მოდის გაზაფხული!..
ერთი გაზაფხულიც!..
იქნებ არნახული
ჩემი გაზაფხული!..

ქათის

ადრეგაზაფხულის მზესავით საამო ხარ —
სიცოცხლესავით ტკბილი,
ჩემი წუთისოფლის უკვე საღამოსხანს
გმოსავს სხივნათელი დილის.
გიმწერ გარინდებით:
არც რას დაგპირდები,
არც თავს მოგაბეზრებ ფიცით, —
გული რომ გულია,
მუდამ ერთგულია,
ერთხელ ღალატით კი იცის!..

\* \* \*

სარკმელს აწყდება თეთრი ქაოსი,
ოთახში ვზივარ და შენზე ვფიქრობ:
ამ სულწაწყმედილ სააქაოში
რამ ჩამოგაგდო, სპეტაკო ფიფქო?

ლექსო, ავბედო

თუ გამიგიჟდი, ლექსო, ავბედო,
როგორ ამოგთქვა, როგორ გაგბედო? —
ფიქრო ნაფიქრო, უქმად ნაგდებო,
ჩემო ჯალათო, ჩემო დამბნედი.
სევდა-ნისლები როგორ ამყაროს
ამ უნაპირო, უძირო ღამემ? —
ვიწრო სარკმლიდან ვუმწერ სამყაროს,
იქნებ, ცხოვრება კიდევ ღირს რამედ!
აი, თავს იმტვრევს უკვე აღმართიც —
სადღაც წინაპრის ჰბორგავს ძვლები
და ჟამთაჭიდილს ვინმე წარმართი
ვუმწერ მორჩილი ხარის თვალებით.
თუმც ათინათად დაჰკრთის ნათელი,
სულში ბოროტად მოძვრება ნიჭიც —
საქართველოსთვის, როგორც სანთელი,
კალას ციხესთან ვდგავარ და ვიწვი...
თუ გამიგიჟდი, ლექსო, ავბედო,
როგორ ამოგთქვა, როგორ გაგბედო? —
ფიქრო ნაფიქრო, უქმად ნაგდებო,
ჩემო ჯალათო, ჩემო დამბნედი!

ჩემი გაზაფხული

მხრები აიხეჩა ნისლმა შეუვალმა,
მთებზე უსუსური ტანი ჩამოკიდა,
ალგეთს შლეგი სახე ჩადრში შეუშალა,
უცებ ჩამორეცხა,
უცებ ჩამობინდდა...
ჭლექით ანთებულმა ელვამ დაახველა —
მიწას, აცრემლებულს, რისხვა დააწია.
ჩქერი ჩქერს ეცა და სულ მთლად გაახველა
სიო მხიარული,
გრილი და პაწია;
უნმოდ გაგცქეროდი ქაჩალ ველზე მდგომი,
თავზე დამდიოდა ღვარი წმინდათწმინდა.
ჯადო ძალით, მგონი,
წამრთმეოდა გონი —
თითქოს არ ციოდა,
თითქოს არც მაწვიმდა.
თბილი, მოკასკასე და ფრთამონატული

\*\*\*

მაშხლად ენთება შავ-ბნელ ეჭვს ხარი
და ეგებება წელს ახალს არე —
ლხინის დასასრულს უცდის ფიჭვნარი
ჩაიქორწილეს დარდმა და მთვარემ.
თვალმარგალიტებს მახვებენ ურიცხვს —
გაუნარიათ ედემში მოგვებს,
ამდევნებია წარსული — ურცხვი,
დედიმობილა ტანტალით მომდევს.
მთვარემ ვარსკვლავებს გადააბიჯა,
მთებს შეუცურდა ვით სატევარი,
შემომესია ჭაღარა ჭირად
და სევდა თმებში დასატევარი.
ვილტვი, ვაწყდები შეუღწევე წყვდიადს,
ციურ მნათობის ბასრი ისარი.
ბედნიერებას მიველტვი დიადს,
მივწვდები, მაგრამ, ვაჰ, თუ სხვის არის?!
...

ფიქრი, ზმანება ღვინოში ჩაღბა...
ბედი მომძანის ავად, ტიალად:
„ამ წელიწადსაც დარჩები, ალბათ,
შენ ჩვეულებრივ ადამიანად!“

ჩემს აღას

როცა გიყურებ
შენ, ერთი ციდას,
მინდა, რომ ციდან
რაც რამ მთიები
ციმციმით ცვივა,
თაყვანი გცენ და ჩაგეწნან თმებში.
და რასაც მთებში გასწვდება ექოდ,
შენ, მთის შვილს გეყმოს.
გულზე იები გეფინოს,
გეყოს
ცოტა სინაზე,
ცოტა სიქველე,
სიდარბაისლე და სილაპაზე.
შენს შემხედვარეს,
მზეებრ ელვარეს,
გერ გისწორებდეს
შმაგ თვალს აისი.
გიცქერი, შვილო,
და ამ ფიქრებში
მიანლოვდება ფრთხილად გაისი.

უამოლომა

თავს იქაჩლის გელი,
იკონკება ტყე.
შემოდგომა მელის
გაზაფხულის ტყვეს.
სიო კარგავს ხალისს,
მე კი — განგლილ გზებს:
შემოდგომის კვალი —
გაცრეცილი მზე...
უხილაგი ხელი
წვერს უღებავს მთებს.
ქარაშოტი ხელი
ხეობაში თვლემს...
თავს იქაჩლის გელი,
იკონკება ტყე.
შემოდგომა მელის
გაზაფხულის ტყვეს.

ჩემი სარკმლიდან

გადაწოლილან,
აწოწილა შუბებად ზოგიც —
ერთმანეთს ღრუბლებს უგზავნიან ეჭვის ფრთებანს,
შემომჯარვია
ასთავიან დევების ჯოგი
და ჩემ სარკმლიდან ნაღვლიანად იმწირებიან.
ქორთა ბავშვივით მოითხუნიეს ნიღლით ტურ-ბირი,
ტყიან ქორთზე ჩამომხეს ელიას ჯილა,
დაჰბედებიათ, საცოდავებს, ბედი დუნჭირი —
თავსმა წვიმაში გალუმბულნი მელიან დიდხანს...
დაუცვეთიათ ჩონებევით ასწლეულები,
გუშავად დგანან მდუმარებით საგსე გულებით,
მრისხნე წარსულს მიღწერენ ნადავ მკვრდებით —
ზეცის თაღს ფხრეწენ ალესილი ბუბუს კვრტები...
გადაწოლილან,
ასგეტილა შუბებად ზოგიც —
ერთმანეთს ღრუბლებს უგზავნიან ეჭვის ფრთებანს,
შემომჯარვია
ასთავიან დევების ჯოგი
და ჩემ სარკმლიდან ნაღვლიანად იმწირებიან.

ბალანდა აღამიანს

მერე რა? რა გიკვირს? —
გადურნი მარწუხებს
და საუკუნენი
აკინძე მარშებით.
მერე რა, მსოფლიო
მუჭში თუ ჩატიე
და ახლა ვარსკვლავებს
თუ ეთამაშები?
მერე რა, თუ შენში
სიკეთე ყვავილობს?
მერე რა, თუ იყვარ
სადავე ყოველი? —
სირცხვილი,
სირცხვილი...
ათასგზის სირცხვილი,
დარგინის ენაზე რომ გქვია ცხოველი!..
\*\*\*

დრო-ჟამი ართვალა მხატვარი, —
ლაფს გვესვრის
და გვისეგს ხვატარს,
ნატურებს
სილაღეს გვანატრულებს,
მერე კი მატურზე გვხატავს.



# წარსულს ჩაბარდა ტურთ-ტურთ გზები

თანხის სეზონი

ჯოჯოლაძე ქისტაძე: მძა მუთოშვილი და ახლა დაქოშვილია შვილი სხვ-ელოვანი შვილი გაზარდეს: ნათელა, ნადია, ტარიმ-ლი, ფრიდონი, აპთანდელი, ოთარი და ომარი... აქედან აპთანდელი ტრაგიკულად დაღუპა.



ბატონო ოთარ, ამ თანამდებობაზე ყოფნისას რისი გაკეთება შეძელი?

ოთარ მუთოშვილი 1963 წელს დაიბადა. ღუისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახური თბილისში, სპორტული კლუბის არმი-აში გაიარა. დაამთავრა თელავის იაკობ გომეზაშვილის სახელობის ინსტი-ტუტის სამხედრო ფიზიკულ-ტურის ფაკულტეტი.

ჰყავს მუშაობა - გელა მარგოშვილი - მუთოშვილი, შვილები - მირინი, მიღენა, მაღვინა და რუსლანი, შვილიშვილები.

ოთარ მუთოშვილი მწვერულად მუშაობდა ღუისში და გვერდით, სხვა-დასხვა სამუშაოებზე. 2009 წლიდან იგი ჯოჯოლაძე ტარიმ-ოტორიული ორგანიზაციის რე-მუნდარულია და მის დაქვემდებარებაში შვილი ბირკიანის და აიბახაშვილის სოფლებში.

ღმის ჩვენი გაზომის, სტუმარი ოთარ მუთოშვილი.

ბირკიანში და ძიბხევში 170 კომლი, მოსახლეობის რაოდენობა 800-მდე შეადგენს.

— თქვენთან როგორია სოციალური ფონი?

— ჩვენთანაც დიდ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის უმუშევრობა. აქ ძირითადად მეცხოველეობას მისდევს და პატარ-პატარა საკარმი-დამო ადგილებში შეძლებისდაგვარად მოჰყავთ სიმინდი და სხვადასხვა სახეობის ბოსტნეული.

— როგორია ტყეების მდგომარეობა?

— ამ მხრივ წინა წლებში უფრო მძიმე მდგომარეობა იყო. დღეისათვის გამოსწორდა. ტყეებზე კონტროლი გაკაცრდა და ვცდილობთ ჩვენს უნიკალურ ხეობაში შევინარჩუნოთ ტყის დაცული ჯიშები.

— დღეისათვის, თქვენთან რამდენია ლტოლვილების რაოდენობა?

— აქ დაახლოებით 900 ლტოლ-ვილია.

— მართალია, უკვე დაგისვით კითხვა სოციალურ ფონზე, მაგრამ მაინტერესებს ამომწურავად მიზან-სუხოთ მიღწევად პანკისის ხეობის სოფლებზე.

— ახმეტის რაიონში პროცენტუ-ლად ყველაზე გაჭირვებული ხალხი ჩვენს ხეობაშია. ამას განაპირობებს მწირი მიწები, მიწის სიმცირე, უნაყოფო-უმოსავლო მიწები და მაინც ძირითადი შემოსავალი მესაქონლეო-ბა-მეფერინველებიდან გვაქვს.

აიკრძალა ტყის უკანონო ჭრა, უნებართვოდ შეშის მოტანაც კი შეუძლებელია სპეციალური საშვის გარეშე, არავის შეუძლია საშეშე მასალის მოპოვება. ისე კი უნდა ითქ-ვას, რომ წარსულში ტყეები საკმაოდ გაჩანაგდა. ლტოლვილების დიდი რაოდენობით შემოყვანამ რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს, რა თქმა უნდა ჩვენი ტყეები დააზარალა.

ალბათ იცით, რომ აქ არ არ-სებობს გაზიფიკაცია და ძირითადად ხდებოდა და ასლაც ასეა, შეშის მოხმარება ზამთარსა თუ ზაფხულში ჩვენს ხეობაში სასიცოცხლო მნიშ-ვნელობისაა.

— კიდევ რა გაკეთდა ხეობაში?

— დიდი იმედი გვაქვს ჩვენი პრეზიდენტის დაპირებისა, რომ გაზიფიკაცია ჩვენთანაც შემოაღწევს. იმედი თუნდაც იმიტომ გავიჩინა, რომ ბევრი რამ კარგი უკვე გაკეთდა ჩვენი ხეობისათვის პრეზიდენტის მხარდაჭერით და ჩვენი რაიონის დეპუტატის, პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილისა, ასევე თავკაცების: კობა მაისურაძის, და სხვათა დიდი თანადგომით, არაჩვეულებრივი მოს-ფალტბული გზა გაკეთდა სოფელ მატნიდან დაწყებული, ჯერჯერობით ბაწარამდე თითქმის ერთი კილო-მეტრის დაშორებით.

უკვე მოხსნა სასმელი წყლის პრობლემა. ახალი წყალგაყვანილობა გაკეთდა სოფელ ბირკიანში, ჯოჯო-ლოში. ასევე ჯოჯოლოში აშენდა ახ-

ალი საბავშვო ბაღი, შეკეთდა გამგეო-ბის შენობა. სასოფლო კლუბები, ჯოჯოლოში სპორტული სტადიონი, ავტოსადგომის მოსაცდელი, აშენდა ახალი მედუნექტი. სარემონტო სამ-უშაოები შესრულდა ჯოჯოლოსა და ბირკიანის საჯარო სკოლებში.


ძიბახევის თავში, ბაწარის წყალზე გაკეთდა შემაერთებული სატრანსპორტო ხიდი, რომელმაც გაუადვილა მოსახლეობას ბაწარისა და ხადორის ხეობებსა და მთაზე გადასვლა. მოხსრემა აღნიშნული სოფლების შიდა გზები.

ყოველ გაზაფხულზე, როცა თოვლის დნობა იწყება და ხშირი წვიმების დროს დიდდება იქაური ხე-ვის წყალი, იგი დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას. ამჯერად შეკეთებულია აღნიშნული ხევის წყლის არხი, გა-ფართოვდა და ჩაღრმავდა მდინარის კალაპოტი. გაყვანილია ახალი ელექტ-როქსელები და ახალ წელს უკვე გარეგანათებით შევსდით. ასე რომ ჩვენი მშენიერი სოფლები თანდათან კიდევ უფრო მეტად გალამაზდება და იმედია, მოსახლეობის ეკონომიკური ღონეც აიწვევს.

წარსულს ჩაბარდა ოღრო-ჩოდ-რო გზები და დასახლებები, სოფელი, მართლაც რომ სოფელს ემსგავსება.

ესაუბრა ლაშა-გიორგი კრავიშვილი.

## ზურაბ არსენიშვილი



### თუ ზამთარია...

თუ ზამთარია, რატომ მესმის ჭრიჭინების ხმა, ანდა რად მათობს ღამის

იის ნაწი სურნელი,

შავი თვალეები უფსკრულია,

შუქთა მთოველი,

მეც ვინებები ტრფიალების მუდამ მსურველი.

თავივე ვეშვები, ფრთამოკეცით,

თეთრი მიმინო,

იქნებ ვუწიო ბასრი კლანჭი დროის დინებას,

რომ კიდევ ერთი გაზაფხული მოგინადირო,

ლორთქი ბაღახი გაძოგინო

დაუმცხრალ ვნებას.

კვალში მომძანის მოკეთეთა

აჭრილი გუნდი.

რადღა დროს შენი ფრენა არის, დაილეწები,

დაჯექ ბუნხართან, ჩხრიკე

ცეცხლი, გაიხანგრძლივე

ციო ნაბოძები სიმშვიდის წლები.

შეუნდე ღმერთო,

არ იციან რასა უწყიან,

სად გაგონილა მარახოშის სიგრძე-სიგანე, გაელვებაა ყოველივე რაც კი გაჭრ-ჭოლებს, სხვა დანარჩენი ნაცარია რუნად მდინარე-ვიცი შეხვედრა სინორჩესთან საგაღალთა, და უბახუნო სიყვარულის მწარე სამხალა, ჯამში ლიფლიფებს, ცას ირეკლავს,

მთვარე-გარსკვლავებს,

ფსკერზე უიღბლოდ გარდასულთა

სულეებსა მალავს.

მაგრამ სრბოლაა თავად განცდა გასაოცარი.

წინ მიფრიალებს კაბის კალთა,

ჭრელი პეპელა,

ვერა, ვერ მივწვდი, ვენარცხები,

არყოფნის სიტკბო,

სულის ხვეულებს ეფინება ნისლივით ნელა.

ქვა-ღორღს შერჩება დამსხვრეული

ჩემი სხეული.

სული კი შეკრავს მზის სხივივით

ირიბ ირაოს.

ცად ავმადლდები, სიყვარულის

ბანგით ძლეული,

დაქნილი გზებით სხვებმა იარონ.

თუ ზამთარია, რატომ მესმის ჭრიჭინების ხმა,

ანდა რად მათობს ღამის

იის ნაწი სურნელი...

### ვირილი მებობარს

შენ დაივიწყე ძველი თელავი,

გორიჯგარი და ბატონის ციხე,

ნადიკრის სიო, ზუზუმბოს ხედი,

მზის გულზე თეთრად მთვლეშარე რიყე.

შენ დაივიწყე ის მეგობარი, ვისთანაც ერთად დაქროდი ცაში, იაბოსავით მორჩილი იყო ჩვენგან ნახენდი დრო-ჟამის რაში, არ გვაშინებდა ზამთარ-ზაფხული, თვით სიკვდილიც კი არ გვაშინებდა, ერთსულ-ერთსორცად გადაქცეულებს, გვწამდა, ვერარა დაგვაცდილებდა. მაგრამ ხომ უთქვამთ ჩვენზე ნაცადებს, რომ სიტყვა არის ყველაფრის თავი, გესლიან იხრის უსუილსა გაგდა, შრიალი ენის, ბორბტის, ავის. რაც ვერ დაგვაკლო დრომ და მანძილმა, დაგვმართა თქმამ და მიეთმოეთმა, ცა დაიხურა, მზე-მთვარე გაქრა, მწუნრი დაიდო ღურჯმა შორეთმა. მაგრამ, თუ სიტყვა არის მთავარი, ამქვეყნიური ყოფის ჯაგარი, ჩვენც ხომ გვითქვია ერთმანეთისთვის ფიცი გულწრფელი, ელვად მაგალი. რომლის წინაშე სიცოცხლეც კრთება და სიკვდილი კი გზაა საგალი, წალკოტისაკენ, სადაც სიყვარულს აღარ სჭირდება შუამავალი. დაბერავს ქარი და აგვიტაცებს, ჩააწნავს ულოდ ჩვენ ეულ სულეებს, ისევე გაგვათბობს ჩამქრალი სუნთქვა, ჟრჟოლვა დაუგლის დანაცრულ გულეებს, ბოლოს ერთს ვიტყვი, თუ აქ არ ვთესავთ იქაც ვერ მოგვკით მოსავალს, მგონი, ზურგი ვაქციოთ ავყია ყბედებს, კვლავ ავამადლოთ ცის კაბადონი.



# აქამდარი

მარო რამაზაშვილი თიანეთის რაიონის სოფელ საყდრის დაბადა. ექვს წლამდე ბებია-პაპასთან იზრდებოდა. დედის ავადმყოფობის გამო სოფელ ფშაველში გადმოიყვანა ბებია, რადგან ავადმყოფ შვილს – **ნინო სისაურს** დედა უწვიდა.

ფშაველის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში დაიწყო მუშაობა. შრომისმოყვარეობით ისე გაითქვა სახელი, რომ კომკავშირის ყრილობაზე დელეგატად გაგზავნეს. მარო რამაზაშვილი ძალიან ნიჭიერი იყო. ობლად დარჩენილმა და თავად მცირეწლოვანმა გოგონამ, პატარა დამა გაზარდა. იყო რეჟისორის ხელმძღვანელი და ტექნიკურ კულტურის ბრიგადაში მუშაობდა.

კოლმეურნეობის მინდვრებიდან, მარო ფშაველის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მდივნად გადმოიყვანეს. იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატი, 1957 წლიდან კი ამავე სოფლის უცვლელი დეპუტატი გახლდათ.

მარო რამაზაშვილი ყოველთვის დიდი წვლილი შეჰქონდა ფშაველის კეთილმოწყობის საქმეში, რამდენი თავმჯდომარე გამოიცვალა, მაგრამ მას არავინ შეხებია...

იმ დროს ფშაველის საბჭოში სამი სოფელი იყო გაერთიანებული: ფშაველი, ლეჩური და ლალისყური, მარტო ფშაველში მოსახლეობა 900 კომლს შეადგენდა და სოფლიდან წასულელებიანად 1200 კომლი იყო. ლეჩურში 110 კომლი, ლალისყურში – 270.

ქალბატონი მარო მართალია საბჭოს მდივანი იყო, მაგრამ საბუღალტრო საქმეებიც ებარა, სამხედრო მაგიდის გამგებლობაც და სამივე სოფელში არსებული კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა თუ სამედიცინო პერსონალისათვის ხელფასების და სხვადასხვა საკანცელარიო ხარჯების გაცემაც მის მოვალეობაში შედიოდა.

მრავალმხრივ საქმიანობაში თავჩარგული ახალგაზრდა, 1961 წლიდან ფშაველის საბჭოს

მდივანი, 2002 წლამდე მეტად რთულ და საპატიო საქმეს დაუღლებლად უძღვებოდა, მაგრამ ეს უცვლელი სანიმუშო თანამშრომელი უმიზეზოდ გაანთავისუფლეს.

ისევ ძველ დროს დაუბრუნდები... მარო რამაზაშვილი ორჯერ გაიგზავნა, თბილისში ოუსტიციის სამინისტროს კურსებზე, საიდანაც ქების სიგელით დაუბრუნდა მშობლიურ კერას. ამ დროს მეტად დატვირთული გრაფიკით მუშაობდა და ევალებოდა: დეპუტატთა საქმიანობის აღრიცხვა, რეაგირება, სხვადასხვა საჭირობოლო საკითხების აღრიცხვა და სხვა.

რაიონებიდან თუ დედაქალაქიდან, ასევე სხვადასხვა დაწესებულებებიდან მოსული საქმიანი ქალაქდების გაცემა თუ მის შესრულებულ სამუშაოებზე პასუხების გაცემა, ქორწინებისა და ბავშვის დაბადების საქმეებიც მის მოვალეობაში შედიოდა. იყო პარტორგიც სოფლის მუდმივი კომისიების ხელმძღვანელი...

უამრავ საქმეს თაოსნობდა, სადაც უფრო ნათლად ჩანდა თითოეული კომლის, წევრთა საქმიანობისა თუ საჭიროებისამებრ აღრიცხვანობა, მთელი სიზუსტით წასვლისა და მოსვლის დრო იყო მოცემული და სადაც საკითხების გარჩევა. ყოველ ოჯახს ზედმიწევნით იცნობდა, ვის რა უჭირდა, რითი სუნთქავდა...

იყო ასეთი მომენტებიც: როცა რაიმე საჭირობოლო საქმეები იხილებოდა, თავმჯდომარის გადაწყვეტილებას ეს მდივანი ქალბატონი არ ეთანხმებოდა და მისი სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებით ბოლოვდებოდა ხოლმე. რამდენი მტრად გადაიქცევიდა ოჯახები გადაურჩენია, დანგრევის პირას მისული ოჯახები შეურიგებია და დღეს ბედნიერად



გრძნობენ თავს. მითუმეტეს მარო რამაზაშვილს არ ჰქონდა უმაღლესი განათლება.

იგი თვითნასწავლი პროფესიონალი იყო და გასაკვირველად მუდამ მის კანონიერად შეთავაზებულ წინადადებებს იზიარებდა ყველა თავმჯდომარე.

ისეთ რთულ საქმეებს აგვარებდა, რომ რაიონის ხელმძღვანელები თუ მოსახლეობა „სოფლის პროკურორს“ ეძახდა. მის მიერ შედგენილი საბუთები თუ დოკუმენტები იმდენად მაღალ-პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული, რომ გადასინჯვა არ სჭირდებოდა. თავად ობლობაში გაზრდილს, ყველაზე მეტად ობოლო ბავშვები უყვარდა და ხელმოკლე ოჯახები ეცოდებოდა.

დავინტერესდით მის მიერ შესრულებული

საკომლო ჩანაწერებით და დავინახეთ თვითნასწავლი, „იურისტი“, სხვადასხვა პროფესიის მცოდნე და თავდადებული ქალბატონი, რაც მხოლოდ დიდად ნიჭიერ და შრომის უზომოდ მოყვარული ადამიანების ხვედრია...

დღესაც ბევრს ახსოვს მარო რამაზაშვილი, მისი საქმისადმი თავდადება, შეუპოვრობა და სამართლიანობა. სამწუხაროდ, იგი იმ რთულ და საპატიო საქმიანობას აღარ უძღვებდა, მაგრამ დღემდე აგრძელებს ხელმოცარული მოსახლეობის გამოქომაგებას.

მარო რამაზაშვილმა ტრავიკულად დაღუპული მეთერთმეტე კლასელი დის – თამარიკის ცხედართან დადებული ფიცის შეასრულა... ამიტომ არ შევიდა უმაღლეს სასწავლებელში, წიგნები გვერდზე გადადო, „მოსწავლის ბანტი ვერ მოიხსნა“, „მოსწავლის ფორმა ვერ გაიხადა“ და თქვა: ჩემი მარად მოსწავლე და უნიჭიერესი დის ცოდვით უმაღლეს სასწავლებელში როგორ შეესულიყავით...

ახალმა თაობამ აღბათ არ იცის, მარო რამაზაშვილის სახით რა ერთგული პატრონი ჰყავდათ წინა თაობებს. გირჩევთ მიაკითხოთ მას, ახლოს გაიცნოთ, ბევრ „რასმეს“ ისწავლით, შეიტყობთ, სიბრძნეს შეიგრძნობთ ამ სახელოვანი და ერთი შეხედვით „მკაცრი“ ქალბატონისაგან, რომელსაც წლები მოსჭარბებია, სხეული შემოსმარცვია, ხმაში სევდა მოსძალბებია, მაგრამ მისი დიდბუნებოვნებისთვის ვერაფერი დაუკლია, რადგანაც, დრომ რაც არ უნდა გაგვიძარცოს სხეული, გვტანჯოს და გვაწვალოს, ამაღლებულ სულიერებასთან არაფერი აქვს საერთო...

**კიდევ დიდხანს იცოცხლეთ ქმარშვილთან და შვილიშვილთან ერთად ჩვენო სახელოვანო და სტორის ხეობის ამაგდარო – მარო რამაზაშვილი!**

იზა ჯაჭვამია

## მ ი ლ ზ ც უ ა

დაბადების დღეს  
უულოცავთ:

**მაყვალა  
ბონაშვილს**

\*

**გუგული  
ტოპონიკის**

\*

**დიანა ბიბიაკის**

\*

**ბობი ჭიჭინაძის**

\*

**რაულ  
ბაბუნაშვილს**

\*

**ლევან  
ცალუღელაშვილს**

\*

**ჯიგუერ არაბულს**

\*


**ლაშა-ბიორბი  
კრაპეიშვილს**

\*

**გვანცა ფიკლაურს**

## სიბლი „სამასმერთე არაგველისა“

### კიდევ ერთი ვატსკელავი



ქართული კინოს იმ კორიფეებიდან, ვისი გაცნობის ბედნიერებაც ბავშვობაში მომეცა, ერთადერთი ადამიანი, ვისაც **თინათინ არჩვაძის** მაგონებს – დიდი **სპარტაკ ბაღაშვილი**. არა მარტო ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ნიჭიერებით, არამედ თვალმუქვლადი ზნობრივი და სულიერი თვისებებით.

თენგიზ არჩვაძე თითქოს საგანგებოდ გამოჩნდა და მოვიდა, რათა ქართულ კინოში სიცარიელე არ დარჩენილიყო და გაგრძელებულიყო სპარტაკისა და **აკაკი ზორავას** მიერ დამკვიდრებული პეროიკული სული. მაგრამ თენგიზ არჩვაძემ კინოში, პირველივე ფილმიდან თან მოიტანა რაღაც ახალი, რამაც ფურანტელით დაუარა მყურებელს და ეს ფურანტელი დღემდე გრძელდება...

ალბათ, ეს არის ის ადამიანური რაც, მაგალითად, **გიორგი შაველიძის** ახასიათებდა და რასაც მყურებელი თავისი ორგანიზმის უნაზესი კაბილარებით შეიგრძნობს...

ღიახ, თენგიზმა თითქოს შეიწოვა რამდენიმე მსახიობის არტისტული სიბლი და მზად დასვდა ლეგენდარული ქართველი ისტორიული პიროვნების გაცოცხლება-გაადამიანურების ტენდენციას ქართულ კინოში. მაგრამ იმავე ქართულ კინოს სხვადასხვა მიზეზის გამო მაინც ბოლომდე გამოუყენებელი დარჩა


თენგიზის უხვი ინტელიგენტური ბუნება და პლასტიკა, რაც მას ევროპულ-ამერიკული სტილის (თუნდაც გრეგორი პეკი!) როლებს უქადდა! მას დღესაც ძალუმს **ჟან გაბენისე-ბური** ინტელექტუალური, ყოფითი, საჭირო და აუცილებელი როლებით ჩვენი „დამოძვრა“, მაგრამ ქართული კინო დღეს და სულს დაფავს ამო სერიალებში!

ცალკე თემაა თენგიზ არჩვაძე კინოს გართობა, ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში...


დღევანდელ ჩვენს ზნობრივად აღვირახსნილ, აბუნად აგდებულ, უცხოეთზე ორიენტირებულ, „ბალაგანურ“ და დამიჯვებულ ყოფიერებაში თენგიზ არჩვაძის რაინდული ხასიათი და ბუნება – რეალობასთან შეუთავსებელი და ცხოვრების ტექსტიდან ამოვარდნილი ძახილის ნიშანია!

და ეს ძახილის ნიშანი კაცი – მის მიერვე გაცოცხლებული ისტორიული გმირების სახელით მოგვიწოდებს: „იყუმეთ ხალხო, დაზავდით, მიხედეთ ქვეყანას, ვინალო მტერი არ გავახაროთ!“

არც ის არის შემთხვევითი, რომ ბატონ თენგიზს დასასვენებელი სახლი არაგვის ხეობაში აქვს, რის გამოც მეგობარ-ამხანაგები, „სამასმერთე არაგველს“ ეძახიან, თვითონ კი სიამაყენარევი ხუმრობით, ომხანადად შესძახებს ხოლმე:



სევსურეთი, სოფელ რთშვის მთები



სევსურეთი, ლეგაბისკარის ციხე

„არც განზე ვარ, არც შუაზე – თენგიზი ვარ არჩუაძეო.“

აი, ამ მოტივებმა მიძიბა და გამათამაშა ორსტროფიანი, მეგობრული კაფია „შეესტყორცნო“ ყველა კარგი ქართველის მეგობარ კაცს:

„სამას ერთი არაგველის ქუჩა სახლთან დაგვიგია; კინოში და ცხოვრებაშიც მხოლოდ კარგი ავიგია; აუვი და „იალიში“ შენი მე არ გამიგია; სიმართლისთვის შემართული ხმალი არსად ჩავიგია, ქონდრის კაცთა სიცოცხლეზე სხვა აზრის ხარ, სხვა ჭკუაზე დევკაცების შემოქმედი – არაკაცებს „ხლენ“ შუაზე! სუფრის თავში როცა ზიხარ – არც განზე ხარ, არც შუაზე – ჩვენს გულში ხარ – არაგველი და რაჭველი არჩუაძეო!“

შენი ომარ ჩიტაია



# ასე დაბრუნდა რეზო ჭიჭინაძე...

## შონაცხება

„არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს უკვებებენ მხოლოდ, მეორენი – თავისი-ანებს, ოჯახსა და ნათესავებს უკვებენ გულს, მესამენი კი სოფელს, ხალხს, ერს, სამშობლოს უკვებებიან. ასეთი ადამიანების სიკვდილი, ცოდობრალი და საერთო გლოვაა, მაგრამ ის ლამაზ სიცოცხლეს, უკვდავებას უდრის!

ოპ, რა უკვდავ გვირგვინად გრჩება, ყოველი ასეთი შვილი, ადგილის დედაც, რა ბედნიერია ის, ვინც უკვდავების წილად გედემის თავზე“ ეს სტრიქონები ქართული სასიქადლო მამულიშვილის, რძეო ქიქინაძის წიგნიდან არის ამოღებული, რომელმაც თავისი მართლაც და ღირსეული და საოცარი ოჯახიდან, გარემოდან, ახლოდან და შორს, ადგილის დედიდან მიიღო.

ახლანანს გამოვიდა ბატონ რეზო ჭიჭინაძის მეტად მნიშვნელოვანი და ამაღლებელი წიგნი: „გულის ქისაში ნაღები“. კრებული პირველ ნაწილში თავმოყრილია მისი მხატვრულ-პუბლიცისტური ნიმუშები, მოგონებები, ჩანახატები – მრავალთაგან მცირედი. მეორე ნახევარი ეთმობა მის თანამედროვეთა წერილებს, ექსპრომტებს, შეფასებებსა და გამოსათხოვარს.

შთაბეჭდავი და ამაღლებელია ბატონი რეზოს სათნო და უკეთილშობილესი მუდლის – ბაბო მიქელაძის მონათხრობი მუდლისგან ბატონი რეზოს მეგობართა მთელი პლიადის ეს საოცარი მოგონებები უფრო მეტად გაამდიდრა და აამაღლა.

წიგნის შემდგენელ-რედაქტორი გასლავთ საბა მეტრეველი, პროექტის ავტორი ბაბო მიქელაძე, ყდის დიზაინი კი ნინო ჩაკვეტაძისაა.

კრებულში დოკუმენტური სიზუსტით გადმოცემულია ბატონ რეზო ჭიჭინაძის ოჯახის განვლილი სულიერებით მდიდარი ცხოვრების გზა კახეთის სხვადასხვა სოფლებში: ანაგაში, ლაგოდეხში, შილაში, ქალაქ ვვარეში მხატვრული ელფერით, სიყვარულითა და დიდი თავყანისცემით არის გაჯერებული მონათხრობი შილაში ლეგენდარული მომღერლის „დედას ლევანს“ – ლევან ასახაშვილის შესახებ. აქ ამ დროისთვის მიწაზე გაზრდილი ჩინებულ ინტელიგენტით სავსე სოფელში, მომღერლების მთელი თაობა წარმოჩენილი; ესტრადის დელოფალი მერი მიხილაშვილი – შილაელი. პირველი ქართველი ლოტბარი – ლადო აღინაშვილი. რიგითი მოსახლეობის წარმომადგენლები.

აი, ეს სოფელი იქცა მისი სიყვარულის წყაროდ, „ადგილის დედა“. მთელი დედამიწა


მისი სოფლიდან იწყებოდა და მთავრდებოდა. შილაშიდან ჩაყარა საფუძველი სამშობლოს, და მეგობრების და მასწავლებლებისადმი სიყვარულს, ყოველივე ლამაზს, ამაღლებულსა და მშვენიერს. აი, აქ იყო მთელი მათი ბავშვობა, ყველაფერი, რაც კი პირველად დაინახეს და აღიქვეს, მშობლებისადმი, დედის – ანა ახე-ლედიანის, მამის, აფთიაქარის და ბრწყინვალე მონადირის გასილ ჭიჭინაძისადმი გამოხატული უდიდესი მადლიერების გრძობა და უმეირ-ფასესი დის, მსოფლიო კინოსა და სილაშის ვარსკვლავის დოლო ჭიჭინაძისადმი.

კახეთი იყო მისი მამულ დედულეთი, ევ იყო მისი გამზრდელი, მისი წარსული და აწ-მყო, სალოცავი და სადიდებელი, მის წინაპართა საძვალე!

„ადრე ერთ გუნდად ქცეული სიყვარული, რომელიც შენ გეკუთვნოდა დედა, დანაწილდა და ყველას ერგო, ყველას თავისი წილი განე-კუთვნა. მთვარესაც, მთებსაც, ველ-მინდვრებსა და ორღობებსაც, მამასაც და ძმასაც, დასა და ნათესავებსაც...“

არ გეწყინოს დედი, შენდამი სიყვარულს კი არაფერი დაჰკლებია, ყველა და ყველაფერი მიყვარდა და ამით კიდევ უფრო მიყვარდი შენ!“

...ამოდენა შრომისას დრო ცოტა მრგება



დედი, თორემ აკი ვთქვი, შენგან იწყება სიყვარული, შენგან!“


მოგონებების ამ ამონარიდს აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ...

აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ასევე ბატონ რეზოს დიდი მეგობრის, თიანელი მა-მულიშვილისა და ჩინებული პოეტის ალაზა ზაიაურის ლექსს, რომელიც მის ტრავიკულად დაღუპულ ვაჟს ირაკლის უძღვნა. კრებული აღმზრდელითი მნიშვნელობისაა. მასში სი-ყვარულის პერიოდის ისეთი მაგალითებია მოცემული, რომ ყველა ქართველი ყმაწვილი ასე რომ იზრდებოდა, ჩვენს მამულში შური, ბოროტება, დასმენა, ჯაშუშობა და სხვა უბე-ღურება გაქრებოდა.

აი, ასე დაუბრუნდა ბატონი რეზო ჭიჭინაძე სამშობლოს, ახლობლებს. „მამულიშვილი, რომლის ცხოვრების ქვაკუთხედი იყო ღირსება და... რაოდენ დასანანია, რომ წიგნი მცირე ტირაჟით არის გამოცემული.“

მიმანია, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ოჯახში სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს ეს კრებული და ყველასათვის მისაბადი უნდა გახდეს ბატონ რეზო ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სამაგალითო გზა.

იზა ჯაჭვაძე



**რეზო ჭიჭინაძე (1928-2007)**  
 ურნალოვტი, ურნალოვტი  
 საერთაშორისო ასოციაციის  
 წევრი, ფილოლოგიის დოქ-  
 ტორი, ლინგვისტის ორდენის კა-  
 ვალერი, ლავოდეხის საპა-  
 ტიო მოქალაქე – დაიბადა  
 1928 წლის 12 თებერვალს  
 ლავოდეხში; დაამთავრა  
 ვვარის საშუალო სკოლა, სახელმწიფო უნივერსიტეტის  
 ურნალოვტი ფაკულტეტი და მოსკოვის უნივერსიტეტის  
 ინსტიტუტი; მუშაობდა ურნალოვტი კავშირის პასუხის-  
 მგებელ მდივნად, ურნალო „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქ-  
 ტორის მოადგილედ, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კო-  
 მიტეტის საგანგებო-საქონლო განყოფილების უფროსად,  
 სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების განყო-  
 ფილების ქართული განყოფილების უფროსად, საქართველოს  
 გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის  
 მოადგილედ და „საქინფის“ გენერალურ დირექტორად,  
 საქართველოს „მონაკვეთის“ პრეზიდენტად.  
 გამოცემული აქვს: „მეტრე მალიკაშვილი“, „მოსკოვლი  
 შილაშიაშვილის ოჯახი“, „ანდრობა ოქროს მიწებში“;  
 თარგმანები – ფიზიკაში ზოგადიანის „მოთხრობების  
 კრებული“, კოლის ლავისის „მოთხრობები“, ალექსანდრე  
 მეფორის ლექსები და სხვ. იყო 50 წიგნის რედაქტორი.

## მოხავალი ჩვენია



გუდამაყრელი კაი ყმის მალხაზ წიკლაურის შვილი – პატარა ანი



ელენე რამაზაშვილი


გახეთ „კავკასიის“ სარედაქციო საბჭო მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გარდაცვალა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერი, სახ-ელოვანი ოჯახის შვილი, თვალ-საჩინო მეცნიერის, ქართული ლიტერატურის, ისტორიის მკვ-ლეარის, მთარგმნელისა და სა-ზოგადო მოღვაწის – სოლომონ იორდანიშვილის ქალიშვილი – ლალი იორდანიშვილი და სამიძმარს უცხადებს შეილებს – ლულა და გორა შათირიშვილებს, ძმას ვია (სულა) იორდანიშვილს, ნათესავებს და მეგობრებს.



ირაკლი, რენო, იზა, ზოია, ანზორ ჯაჭვაძეები დიდ მწუხარე-ბას გამოხატავენ მამიდაშვილის ლალი იორდანიშვილის გარდაცვალების გამო.

იზა იმეზურიშვილი

## ხელნაწერი უნიკალური წიგნი



ახლანანს ხელნაწერთა ეროვნულ ცენ-ტრში ვებგვერდის „ქართული ხელნაწერი წიგნი“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი რუსთაველის ფონდის დაფინანსებით განხ-ორციელდა. სამწლიანი მუშაობის შედეგად სამეცნიერო ჯგუფმა საზოგადოებისთვის

ხელმისაწვდომი გახადა ქართული ხელნაწ-ერი წიგნის ისტორიისთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მეცნიერებმა შეაჯამეს 50-წლიანი კვლევის შედეგი.

პროექტზე მუშაობის პროცესში ჯგუფი იმყოფებოდა მესტიის, ქუთაისის, ახალციხ-ისა და ზუგდიდის მუზეუმებში იქ დაცული ხელნაწერი მემკვიდრეობის შესახებ ინფორ-მაციის მოსაძიებლად.

პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა მონახულეს კაბადოკიისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრები. ექსპედიციის შედეგებსა და მიმდინარე სა-მუშაოებზე მოამზადეს პრეზენტაციები: „სვანეთის სიძველეები“, „კაბადოკიიდან ტაო-კლარჯეთამდე“, „ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორი“ და „ქართული ხელნაწერი“.

ვებგვერდზე ასევე წარმოდგენილია ინ-ფორმაცია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული V-XIX საუკუნეების ხელნაწერების შესახებ.

ვებგვერდი გამიზნულია ქართული წერი-ლობითი კულტურის ისტორიით დაინტერესე-ბული პირებისთვის, რომელთაც საშუალება ექნებათ ხელნაწერი მემკვიდრეობის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მიიღონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [www.geomanu-script.ge](http://www.geomanu-script.ge)

ვებგვერდი „ქართული ხელნაწერი წიგნი“ განხორციელდა სსიპ ქართველოლოგიის,

პუბლიკატურ და სოციალურ მეცნიერებათა ფონდში (რუსთაველის ფონდი), ამაჟამად რუსთაველის ეროვნულ-სამეცნიერო ფონდში, 2008 წელს მიზანშეწონილი გრანტის მეშვეო-ბით. ვებგვერდზე გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ვებგვერდის მიზანია ყურადღება გაამახვი-ლოს ქართული ხელნაწერი წიგნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ზოგადკულტურულ მნიშვნელობაზე; ვიზუალური მასალის თანხ-ლებით საზოგადოებას მიაწოდოს ქართული ხელნაწერი წიგნის შესახებ სრული ინფორ-მაცია.

პროექტზე იმუშავეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფმა – ნესტან ჩიკვაძემ (ფილოლოგიის დოქტორი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი), ლელა შათირიშვილმა (ფილოლოგიის დოქ-ტორი, პროექტის მენეჯერი), მათა კარანაძემ (ფილოლოგიის დოქტორი) და ახალგაზრდა თანამშრომლებმა – თამაზ გოგოლაძემ, შორენა მურუსიძემ (კომპიუტერული უზრუნველყო-ფა). ცალკეული საკითხების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ეროვნული ცენტრის მეცნიერთა თამარ აბულაძემ (ფილოლოგიის დოქტორი).

იზა იმეზურიშვილი

	<p>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი</p> <p><b>იზა ჯაჭვაძე</b></p>	<p>რედაქტორი ლაზა-გიორგი პრამივიშვილი</p> <p>რედაქტორის მოადგილე დინა გიბიაძე</p>	<p>სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალუელაშვილი, გიორგი ინიანი, ნუგზარ ილიძე, ხატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩიშვილი, ლეილა არაბული, ომარ მარუტაშვილი, ქეთევან მქედლური, გულო კობიაშვილი.</p> <p>ბაზითი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის, ინტერესის, ავტორის თანავე ავტორის პასუხისმგებლობის შესახებ. მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ეროვნული ცენტრის მეცნიერთა თამარ აბულაძემ (ფილოლოგიის დოქტორი).</p>	<p>მისამართი: კოსტავას ქ.№14</p> <p>ტელ: 52-16-38</p> <p>899-79-76-13</p>
---	---	---	---	---